ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წევრის მურად ჩხაიძის ანგარიში 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

2015 წლის განმავლობაში ჩემს საქმიანობას წავმართავ საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

მოსახლეობასთან შეხვედრები ხდებოდა ყოველთვიურ რეჟიმში, როგორც სოფლის ადმინისტრაციულ შენობებში, ასევე უბნებში მისვლით. მუნიციპალიტეტის გამგებლისა და მის შესაბამის სამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობით მრავალ ოჯახს გაეწია დახმარება.

საკრებულოს ინიციატივით განხორციელდა არაერთი ღონისძიება, მაგალითად: უმაღლეს სასწავლებლებში 100%-იანი გრანტის მიღების შემთხვევაში მოსწავლეების 3000 ლარით, ხოლო შესაბამისი სკოლის 1000 ლარით დაჯილდოება. ასევე C ჰეპატიტით დაავადებულთა დახმარება სხვადასხვა ანალიზებისა და კვლევების დასაფინანსებლად. ერთჯერადი სოციალური დახმარება შეჭირვებული ოჯახებისათვის გაიზარდა 100-დან 150 ლარამდე. სოფელ მერიაში გარემონტდა ე.წ. ყოფილი „სამხედრო ქალაქის“ მრავალბინიანი საცხოვრებელი, რომელიც 90 ბენეფიციარისათვის არის გათვლილი.

აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს კომისიების სხდომებში. საკრებულოს რეგლამენტის თანახმად ვარ ორი კომისიის წევრი:

1. აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია, სადაც ვესწრებოდი 28 სხდომას.

2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, ვესწრებოდი 35 სხდომას, სადაც განხილული იქნა 44 საკითხი და მიღებული იქნა 22 დასკვნა.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წევრი, ვმონაწილეობდი 12-ვე ფრაქციის სხდომაში.

ამომრჩეველთა მიღებებისა და შეხვედრების დროს გამოიკვეთა პრობლემები: სოფლის ცენტრალური და შიდა გზების მოწესრიგება, გაზიფიცირება, გამრიცხველიანება, სანაგვე ურნების დამატება-განთავსება, გარე განათების მოწესრიგება, სასმელი წყლის რეაბილიტაცია.

ვმონაწილეობდი მუნიციპალიტეტის საკრებულოს 21 სხდომაში, სადაც მიღებული იქნა 98 განკარგულება, დამტკიცდა 46 დადგენილება.

შევხვდი 44 ამომრჩეველს, თითოეულის პრობლემა გავითავისე და შეძლებისდაგვარად გავუწიე დახმარება. ჩემი გამოცდილებისა და შესაძლებლობების ფარგლებში მზად ვარ აქტიურად ვითანამშრომლო მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და აღმასრულებელ ორგანოებთან.

საკრებულოს წევრი: **მურად ჩხაიძე**

11.01.2016 წ.